



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030165968798521

№ 01-207/თ

04 / ივნისი / 2021 წ.

„საქართველოში ახალი კორონა ვირუსით (SARS - CoV- 2) გამონვეული ინფექციის (COVID- 1 9) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „საქართველოში ახალი კორონა ვირუსით (SARS -CoV- 2) გამონვეული ინფექციის (COVID- 1 9) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) ბრძანების 2⁴ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2⁴. ამ ბრძანების N1 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) სამართავად მობილიზებული კლინიკები) განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამინისტროს პორტალზე - COVMOB.MOH.GOV.GE ყოველი დღის დილის 9:00 სთ-ის მდგომარეობით არსებული სტატისტიკური ინფორმაციის მომდევნო ერთი საათის განმავლობაში და საღამოს 9:00 სთ-ის მდგომარეობით არსებული სტატისტიკური ინფორმაციის მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ატვირთვა, სისტემაში არსებული ელექტრონული ფორმის შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური ინფორმაციის არასრულად და/ან ვადის დარღვევით გადაცემის შემთხვევაში, გავრცელდეს საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

ბ) ბრძანების 2⁴ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2⁵ პუნქტი:

„2⁵. ამ ბრძანების 2⁴ პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური ინფორმაციის COVMOB.MOH.GOV.GE - პორტალზე ატვირთვის/განთავსების ინსტრუქცია („COVMOB.MOH.GOV.GE - პორტალზე მუშაობის ინსტრუქცია“) ჩამოყალიბდეს თანდართული N2 დანართის შესაბამისად.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმწერისთანავე.

